ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.02.18

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/18

შეკითხვა:

ადვოკატს დახმარებას სთხოვს პიროვნება კონკრეტულ საქმესთან მიმართებით. აღნიშნული საქმე, ადვოკატის მოსაზრებით, უპერსპექტივოა და არ არსებობს მისი კლიენტის წარმატების შანსი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს პიროვნება სთხოვს ადვოკატს განახორციელოს მისი წარმომადგენლობა. რა შეიძლება მოიმოქმედოს ადვოკატმა შესაძლო სამომავლო პრობლემების ასარიდებლად?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319 - ე მუხლის პირველი ნაწილი: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც,რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის,მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709 - ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება, უფლებამოსილია, ასევე, თავისუფლად აირჩიოს კონტრაჰენტი. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი.

შესაბამისად, ადვოკატს თავად შეუძლია გადაწყვიტოს დაიწყებს თუ არა აღნიშნული პირის წარმომადგენლობას. მას არ აქვს ამ ქმედების განხორციელების ვალდებულება.

იმ შემთხვევაში, ადვოკატი გადაწყვეტს დათანმხდეს წარმომადგენლობას, ამ შემთხვევაში, რეკომენდირებულია მან კლიენტს მისცეს მაქსიმალურად სრული განმარტება მისი საქმის პერსპექტივის შესახებ და, მისი თანხმობის შემთხვევაში, განახორციელოს წარმომადგენლობა. რეკომენდირებულია, პრევენციის მიზნით, ადვოკატმა აღნიშნული განმარტება და კლიენტის თანხმობა დააფიქსიროს წერილობით.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ პირი სთხოვს ადვოკატს წარმომადგენლობის განხორციელებას, მასზე თანხმობა, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, დამოკიდებულია ადვოკატის ნებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი დათანხმდება წარმომადგენლობას, მან, რეკომენდირებულია, წერილობით განუმარტოს საქმის პერსპექტივის შესახებ და, თუ მიიჩნევს, რომ საქმე აშკარად უპერსპექტივოა, დააფიქსიროს კლიენტის თანხმობა განმარტებაზე.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.